



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური
ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 30 ივნისი



სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	3
შესავალი	3
საკანონმდებლო ჩარჩო	3
კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	4
კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი	4
ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება	5
კონსოლიდაციის პრინციპები	5
კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომცველობა	5
ფინანსური ანგარიშგება და ანგარიშგების კომპონენტები	8
ანგარიშგების თარიღი	9
საანგარიშგებო პერიოდი	9
საანგარიშგებო ვალუტა	9
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები	9
რესურსების განაწილება და გამოყენება	10
ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	10
კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების შეზღუდვა	10
კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნების თარიღი	10
კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა	11
სააღრიცხვო პოლიტიკა	12
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12
ფინანსური შედეგების ანგარიშგება	24
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	31
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	31
ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება	32
სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების კორექტირებები	33
სხვა განმარტებითი შენიშვნები	36
პირობითი აქტივები	36
პირობითი ვალდებულებები	36
კაპიტალის რეტროსპექტული კორექტირებები	38
სხვა პერსპექტიული ცვლილებები	41
დაკავშირებული მხარეები და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	42





ზოგადი ინფორმაცია

შესავალი

2024 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციებისთვის, მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, სამოქმედოდ შემოდებული IPSAS-ების ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული (ნაერთი) წლიური ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაციის საფუძველზე. ამასთან, აღნიშნულ ანგარიშგებაში საქართველოს დაზვერვის სამსახურსა და საქართველოს საპატრიარქოსთან დაკავშირებით მოცემულია მხოლოდ ბიუჯეტის შესრულების შესახებ მონაცემები.

საკანონმდებლო ჩარჩო

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული აქტების მოთხოვნები:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის №17 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.





კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია შემდეგი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- IPSAS 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა
- IPSAS 2 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
- IPSAS 3 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები
- IPSAS 4 უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები
- IPSAS 5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები
- IPSAS 9 შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან
- IPSAS 12 მატერიალური მარაგები
- IPSAS 13 იჯარა
- IPSAS 14 ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები
- IPSAS 16 საინვესტიციო ქონება
- IPSAS 17 ძირითადი აქტივები
- IPSAS 19 ანარეცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები
- IPSAS 20 დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები
- IPSAS 21 ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება
- IPSAS 23 შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)
- IPSAS 24 ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში
- IPSAS 26 ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება
- IPSAS 31 არამატერიალური აქტივები
- IPSAS 32 შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი
- IPSAS 34 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
- IPSAS 35 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
- IPSAS 36 მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობაში ინვესტიციები
- IPSAS 37 ერთობლივი შეთანხმებები
- IPSAS 38 სხვა ერთეულებში წილების გამყვანება
- IPSAS 39 დაქირავებულთა სარგებელი
- IPSAS 40 საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანება

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი





სახსრების ნაკადების შესახებ და არ ეწინააღმდეგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ეკონომიკური მოვლენები ძირითადად საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (IPSAS) მოთხოვნილი შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რომელიც ახსნილია ქვემოთ.

ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციები წარმოადგენენ ფუნქციონირებად ერთეულებს და პროგნოზირებად მომავალში არ იგეგმება მათი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

კონსოლიდაციის პრინციპები

სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე კონსოლიდირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების (ეკონომიკური ერთეულების) ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები.

კონტროლირებული ერთეული არ გამოირიცხება კონსოლიდაციიდან იმ მიზეზით, რომ მისი საქმიანობები განსხვავდება ეკონომიკურ ერთეულში შემავალი სხვა ერთეულების საქმიანობისაგან (საქონლისა და მომსახურების ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასებით ახდენს მიწოდებას მაშინ როდესაც ეკონომიკურ ერთეულში შემავალი სხვა ერთეულები უსასყიდლოდ ან/და ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებით და ა.შ);

სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე კონსოლიდაციას დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის განხორციელებული ოპერაციების და ნაშთების ელიმინირება სრულად არ არის უზრუნველყოფილი და ძირითადად, აგრეგირებულია, კონსოლიდაციის პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობისა და ხაზინის ელექტრონულ სისტემაში მთავარი წიგნის ფუნქციონალის არასრულყოფილად ფუნქციონირების გამო. სრული კონსოლიდაცია უზრუნველყოფილი იქნება ხაზინის ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალის სრულად ამოქმედების შემდეგ. რაც შეეხება აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც წარმოშობილია მხარჯავსა (მაკონტროლებელსა) და კონტროლირებულ ერთეულებს შორის შიდა ოპერაციებით, ფინანსური ანგარიშგებიდან, ელიმინირებულია, ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ანგარიშგების თარიღსა და სახაზინო სამსახურის მიერ კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღს შორის პერიოდში, მომხდარი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ ხდება კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, დაზუსტებული ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენით.

ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივები, აღებული ვალდებულებები, მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები (ადმინისტრირებადი მუხლები) სრულად არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებებში.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომცველობა

სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგი მხარჯავი დაწესებულებების ფინანსურ





ანგარიშგებებს:

1. საქართველოს პარლამენტი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები
2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
3. საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
4. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახური
6. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
8. საქართველოს უზენაესი სასამართლო
9. საერთო სასამართლოები
10. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
11. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში
12. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში
13. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში
14. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში
15. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში
16. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში
17. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში
18. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში
19. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
20. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
21. საქართველოს პროკურატურა
22. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი





23. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
24. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
25. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
26. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
27. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
28. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
29. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
30. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
31. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
32. საქართველოს განათლებისა, და მეცნიერების სამინისტრო
33. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
34. საქართველოს დაზვერვის სამსახური¹
35. სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
36. სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური
37. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
38. სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
39. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური
40. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
41. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
42. სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი
43. სსიპ - საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
44. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
45. საქართველოს საპატრიარქო²
46. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

¹ აღნიშნული ორგანიზაციის შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ ბიუჯეტის შესრულების შესახებ მონაცემები

² აღნიშნული ორგანიზაციის შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ ბიუჯეტის შესრულების შესახებ მონაცემები





47. სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
48. სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
49. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
50. სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
51. სპეციალური საგამოძიებო სამსახური
52. სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
53. სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო
54. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი
55. სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო
56. საერთო=სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები ³
57. სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
58. ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი
59. ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის
60. სსიპ - საპენსიო სააგენტო
61. სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“
62. სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
63. სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
64. სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

ფინანსური ანგარიშგება და ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას - ფორმა №1;
- ბ) ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას - ფორმა №2;
- გ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას - ფორმა №3;
- დ) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას - ფორმა №4;
- ე) ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას - ფორმა №5;
- ვ) განმარტებით შენიშვნებს.

განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია როგორც ცხრილების, ასევე, ტექსტური, ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის სახით, რომელშიც განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ცალკეულ კომპონენტებში მოცემული ინფორმაცია დეტალურად. ამასთან, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არ არის

³ საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახდელებთან დაკავშირებით, კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ბიუჯეტის შესრულების მონაცემები





წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებში, თუმცა, საჭიროა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის უკეთ გასაგებად.

ანგარიშგების თარიღი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების თარიღია 2024 წლის 31 დეკემბერი.

საანგარიშგებო პერიოდი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი, 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საანგარიშგებო ვალუტა

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. თანხები დამრგვალებულია ათასებამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშგებო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, რომელზეც ვრცელდება **IPSAS 4** -ის „**უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები**“ მოთხოვნები.

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომელთა არსებითი მახასიათებელი არის უფლება, მიიღო ან ვალდებულება, რომ შეასრულო ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა, გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად,

უცხოურ ვალუტაში გამოსახული არაფულადი მუხლები, რომელთა მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს უფლების არქონა, მიიღო ან ვალდებულება, რომ შეასრულო ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრული ოდენობა, ფასდება ოპერაციის დღის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად და გადაანგარიშებას არ ექვემდებარება.

საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაანგარიშებას ექვემდებარება უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები. უცხოურ ვალუტაში გამოსახული არაფულადი მუხლები, არ გადაანგარიშდება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც არაფულადი მუხლების გადაანგარიშება ხდება ახალ სამუშაო ვალუტაში;
- როდესაც ხდება უცხოური ერთეულის არაფულადი მუხლების ეკონომიკური ერთეულისთვის დადგენილ ერთიან საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშება.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ფულადი მუხლების დაფარვისას, ან საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი მუხლების თავდაპირველი აღიარებისას გამოყენებული კურსისაგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას, აღიარდება როგორც კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი და ჩაირთვება ფინანსური შედეგების გაანგარიშებაში.





უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობით გადაანგარიშებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი \$	ევრო €
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8068	2.9306

რესურსების განაწილება და გამოყენება

ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტი (მათ შორის: მიზნობრივი გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული მესამე პირის გადახდები და სხვ.) და არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

საბიუჯეტო ორგანიზაციები ხარჯების გაწევას ახორციელებენ სამართლებრივი და სახელშეკრულებო მოთხოვნების შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს ინფორმაციას ბიუჯეტების გეგმების და ფაქტობრივი შესრულების შესახებ, ფორმა 4-ის სახით, რომელიც მზადდება IPSAS 24-ის - „ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში“ - მიხედვით, საკასო მეთოდის შესაბამისად.

ანგარიშების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ანგარიშების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენებით (რომლებზეც არსებობს მტკიცებულებები ანგარიშების თარიღისათვის) განხორციელდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება ან ისეთი მუხლების აღიარება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული, ხოლო ანგარიშების თარიღის შემდგომი არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენები (რომლებიც მიგვანიშნებს ანგარიშების თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილ პირობებზე), ასახულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა №1-ში - „სააღრიცხვო პოლიტიკები და სხვა განმარტებითი შენიშვნები“.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების შეზღუდვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები არ მოიცავს ინფორმაციას ისეთი პირობითი ვალდებულებების შესახებ, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკრედიტო ვალდებულებებს. შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით სრულად არ შეესაბამება IPSAS-ების მოთხოვნებს.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნების თარიღი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე მომზადებულია და ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად განთავსებულია ხაზინის ვებ-გვერდზე www.treasury.ge.





კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა

სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.





სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის შესახებ ინფორმაციას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიეთითება როგორც საანგარიშგებო წლის ფინანსური მონაცემები ასევე, საანგარიშგებო წლის წინა წლის ფინანსური მონაცემები. ამასთან, წინა წლის მონაცემების ცვლილება დაუშვებელია ერთეულის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილების გარეშე, კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული შესაბამისი გამონაკლისი შემთხვევების (ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის და ა.შ.) გარდა.

აქტივები

აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების სახით.

მოკლევადიან აქტივად მოიაზრება აქტივი, თუ:

- ნავარაუდევია მისი ღირებულების რეალიზება ან გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი ღირებულების რეალიზება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან მისი ექვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოიყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი განიხილება გრძელვადიან აქტივად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ ბიუჯეტის სახსრებს, დროებით განთავსებულ სახსრებს, ასევე, კომერციულ ბანკებში ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს და ფულად სახსრებს სალაროში როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის მიხედვით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში ანგარიშგების თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

IPSAS-ებიდან გადახრით, ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვალის დეპარტამენტის მიერ, აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენების გამო, საგარეო წყაროებიდან მიღებულ სესხებზე არ ხდება საკურსო სხვაობების გაანგარიშება და აღრიცხვა; შედეგად, ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში (შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში) არ არის ასახული. უცხოურ ვალუტაში აღებულ საგარეო ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო





სხვაობების შედეგები. 2026 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი გეგმავს მთავრობის ვალის პორტფელის ინსტრუმენტების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით, რაც უზრუნველყოფს მომდევნო წლების ფინანსური ანგარიშგებებში საგარეო ვალდებულებების საკურსო სხვაობების გავლენის ასახვას.

მხარჯავი დაწესებულებები, საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა, არ წამოადგენენ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ კომერციულ ბანკებში საოპერაციო მიზნებისთვის განხსნილ ანგარიშებზე ფულადი სახსრების დროებით განთავსება, საბოლოოდ, სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის ან გადამხდელისთვის უკან დაბრუნების მიზნით, ასევე, ბიუჯეტის საკასო ხარჯების შემდგომ დროებით თანხების განთავსება, ბენეფიციარისთვის დადგენილი წესით გადარიცხვის მიზნით, არ წარმოადგენს საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის შედეგად შემოსავლებით და ხარჯებით ფულადი სახსრების ნაკადებს და არ აკმაყოფილებს IPSAS-ების მოთხოვნებს ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით (ფულადი სახსრების განკარგვა აღნიშნული საქმიანობების დაფინანსების მიზნით დაშვებულია მხოლოდ ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით). საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ფულადი სახსრების სრული განკარგვა და შესაბამისად, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მომზადება განსაზღვრულია „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულებით განსაზღვრული პირობებით. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს თანახმად, საჯარო სკოლების სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე გადაყვანის რეფორმის შედეგად, ანგარიშგების თარიღისთვის ხაზინის მომსახურებაზე გადაყვანილია **1,328 საჯარო სკოლა**, რომელთაც არ აქვთ ვალდებულება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარმოდგენის, ხოლო იმ საჯარო სკოლების, რომელთა სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე გადაყვანა სრულდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წელს, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებები სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, არაარსებითია და შესაბამისად, არ მომხდარა საანგარიშგებო წელს მათი წარმოდგენა.

მოკლევადიანი ინვესტიციები

მიმდინარე ინვესტიციების სახით ასახულია ერთ წლამდე ვადით გაცემული სესხები, გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი, ფინანსური იჯარიდან გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების მიმდინარე ნაწილი, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა და სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები. მიმდინარე ინვესტიციებში ასახულია როგორც საბიუჯეტო საქმიანობის, ასევე, არასაბიუჯეტო (საკუთარი) საქმიანობის ფარგლებში გაცემული სესხები, ეროვნული და უცხოური ვალუტის მიხედვით. მიმდინარე ინვესტიციების თავდაპირველი შეფასებისათვის გამოყენებულია ნომინალური ღირებულება, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის შეიძლება შემცირებულ იქნეს გაუფასურების ზარალის თანხებით.

მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებში წარმოდგენილია საგადასახადო მოკლევადიანი მოთხოვნები, საპენსიო სქემაში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები, პროცენტებთან და დივიდენდებთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები, საქონლის და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები, თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოკლევადიანი მოთხოვნები, არაფინანსური აქტივების გასვლასთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები. ამასთან,





მოკლევადიანი მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება ნომინალური ღირებულებით, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის შესაძლებელია შემცირებულ იქნეს საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების თანხებით.

მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება **IPSAS 12**-ის - „**მატერიალური მარაგები**“ - შესაბამისად.

მატერიალური მარაგები სააღრიცხვო ჩანაწერებში თავდაპირველად ასახულია თვითღირებულებით, მაშინ როდესაც მათი შეძენა ხდება გაცვლითი ოპერაციის გზით, ან წარმოადგენს ერთეულის წარმოების შედეგს. იმ შემთხვევაში, თუ მატერიალური მარაგები შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის გზით, საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას მატერიალური მარაგების ღირებულება შეიძლება განისაზღვროს გადმომცემი ერთეულის მიერ აღნიშნული მატერიალური მარაგების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით., ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

თვითღირებულებაში შეტანილია შესყიდვის ყველა დანახარჯი, კონვერსიის დანახარჯები და სხვა დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მატერიალური მარაგების მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

მატერიალურ მარაგებში ასახულია წარმოების პროცესში გამოსაყენებელი ნედლეული და მასალები, ასევე, ერთეულის მიერ სხვა მხარეებისთვის უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით განაწილების მიზნით წარმოებული ან შესყიდული საქონელი. შესაბამისად, მატერიალური მარაგები მოიცავს მასალებსა და მარაგებს, დაუმთავრებელ წარმოებას, მზა პროდუქციას, გასაყიდად ფლობილ საქონელს, სტრატეგიულ მარაგებს და სამხედრო მარაგებს მასალებსა და მარაგებში ასევე შეიტანება, მცირეფასიანი აქტივები - მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმებს, კერძოდ, არ წარმოადგენენ 500 ლარზე მეტი ღირებულების აქტივებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ხდება მათი გამოყენება.

ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური მარაგები ასახულია თვითღირებულებით ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხით. წლის ბოლოსთვის :ნეტო სარეალიზაციო ღირებულების ან მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულების დადგენა არ ხდება.

ურთიერთშემცვლელი და ერთგვაროვანი მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსასაზღვრავად გამოიყენება ან „ფიფო“ (პირველი შეძენილი პირველი იხარჯება) ან საშუალო შეწონილი მეთოდი,

სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებში მოიაზრება წინასწარ გადახდილი თანხებით მოკლევადიანი მოთხოვნები როგორც საქონელთან და მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით, ასევე, გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოსაწოდებლად. გარდა ამისა, აქვე მოცემულია ისეთი არაფულადი მოთხოვნები, რაც უკავშირდება არაფინანსური აქტივების გადაცემას, ბარტერული ოპერაციებიდან მისაღებ აქტივებს, არაგაცვლით ოპერაციებს, არაფინანსური აქტივების დანაკლისს. აღნიშნული აქტივები თავდაპირველად შეფასებულია ნომინალური ღირებულებით, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის შესაძლებელია





შემცირებულ იქნეს საეკვო მოთხოვნების ანარიცხებით.

გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

გრძელვადიანი ფინანსური აქტივები მოიცავს გრძელვადიან სესხებს როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო (საკუთარი) საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციებს, სხვა გრძელვადიან ფინანსურ აქტივებს, გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებსა და არაფულად მოთხოვნებს. ამასთან, თავდაპირველი შეფასებისათვის გამოყენებულია ნომინალური ღირებულება, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის შეიძლება შემცირებულ იქნეს გაუფასურების ზარალის თანხებით.

მხარჯავი დაწესებულებების მიერ ანგარიშგებაში ასახული გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები, ანგარიშგების თარიღისთვის თანხების ამოღების ალბათობის მიხედვით არ ფასდება რეალურობაზე და შესაბამისად დაწესებულებების მიერ არ მიიღება გადაწყვეტილება გაუფასურების ან/და ჩამოწერის თაობაზე, როცა აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებით კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს სააღსრულებო საქმისწარმოება (მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა) და აღსრულების ბიუროს მიერ არ არის დადასტურებული საქმიანობების შეჩერება ან/და შეწყვეტა რაიმე მიზეზით. ასევე, ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული ვადაგადაცილებული სესხების დარიცხული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს სახით ასახული ფინანსური აქტივები ანგარიშგების თარიღისთვის არ შეფასებულა გაუფასურებაზე, ვინაიდან შეფასება და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, „სახელმწიფო სესხების რესტრუქტურისა და შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენს „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურისა და შესახებ“ მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის“ კომპეტენციას. ანგარიშგების თარიღისთვის კომისიის გადაწყვეტილებებზე ინფორმაცია მხარჯავ დაწესებულებას არ გააჩნდა.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები თვითღრებულებითაა შეფასებული, თუ ინვესტიციები არ ხორციელდება კონტროლირებულ ერთეულებში, მეკავშირე ერთეულებსა თუ ერთობლივ საქმიანობებში. ასეთ შემთხვევებში მათი შეფასება კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით ხდება.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, სახელმწიფო საჯარო კორპორაციების კაპიტალიზაციას სხვადასხვა გზით ახორციელებს. ე.წ. „კაპიტალში შენატანები“ შესაძლოა სხვადასხვა იურიდიული ფორმით განხორციელდეს და ასევე, სხვადასხვა ეკონომიკურ ხასიათს ატარებდეს. სწორედ ეკონომიკური ხასიათის გათვალისწინებით, საწარმოების დაფინანსება შესაძლებელია აღირიცხოს როგორც ხარჯებში, ასევე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში. „ფინანსური აქტივების, ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში“ აღირიცხება საჯარო კორპორაციისთვის გადაცემული სახსრები, თუ სახელმწიფოს, როგორც წილის მფლობელის უკუგება და სარგებელი განსაზღვრულია და კოოპერაციაში შეტანილ კაპიტალს კორპორაცია თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს, კოორპორაციის მოგების გაზრდის მიზნით. მხარჯავი დაწესებულებების მიერ, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში წილობრივი მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე არსებულ კაპიტალზე საკუთრების უფლება, „აქცია და სხვა კაპიტალის“ სახით არ არის სრულად ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში (კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვისა





და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლებისა, და მეცნიერების სამინისტრო). „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს საფუძველზე შემუშავებული, სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საწარმოების ხაზინის მომსახურებაზე გადმოყვანის პროცესის დასრულებისას, დაგეგმილია სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის სააღრიცხვო პოლიტიკის ჩამოყალიბება, სადაც გათვალისწინებული იქნება შეფასებები თითოეული საწარმოს დაფინანსება რამდენად აკმაყოფილებს წილის აღრიცხვის კრიტერიუმებს და დადასტურების შეთხვევაში რა ფორმით მოხდეს აღნიშნული წილების სრული ასახვა მხარჯავი დაწესებულებების და მთავრობის კონსოლიდირებულ (ნაერთი ფინანსურ ანგარიშგებებში).

ფინანსური იჯარიდან მისაღები გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები აღიარებულია იჯარით გაცემული ქონების სამართლიან (რეალურ) ღირებულებასა და იჯარის ხელშეკრულების დაწყებისას განსაზღვრული იჯარის მინიმალური შენატანების ამჟამინდელ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება **IPSAS 17**-ის - „**ძირითადი აქტივები**“ - შესაბამისად.

ძირითადი აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან წარმოადგენს ერთეულის მიერ შექმნილ აქტივს, ან სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, თუ ძირითადი აქტივის შეძენა ხდება არაგაცვლითი ოპერაციის გზით. არაგაცვლითი ოპერაციებით ძირითადი აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, ძირითადი აქტივების შეფასება დასაშვებია გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით, ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და ისეთ პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ანგარიშგების თარიღისათვის ძირითადი აქტივების შემდგომი შეფასებისთვის გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად შემცირებულია ცვეთის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით.

შემდგომი დანახარჯები, როგორც წესი, აღიარებულია შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანახარჯების გაწევის შედეგად იზრდება/უმჯობესდება აქტივის მწარმოებლურობა ან/და ფუნქციონალურობა. კერძოდ, განახლების, რეკონსტრუქციის ან გაფართოების შედეგად ხანგრძლივდება არსებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, აღნიშნული სამუშაოები განიხილება არსებით გაუმჯობესებად და მასთან დაკავშირებული დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი აქტივებისთვის ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხის აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების





გზით. ცვეთის დარიცხვისათვის ძირითადად, გამოიყენება წრფივი მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რომელიმე მეთოდის (შემცირებადი ნაშთის მეთოდის, წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი და სხვ.) გამოყენება უფრო მეტად ასახავს აქტივში განივთებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების ხასიათს. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით დამტკიცებული.

ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ დადგენილი სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები. ცვეთის დარიცხვა იმ აქტივებზე, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადები ზემოაღნიშნული ინსტრუქციით არ არის განსაზღვრული, წარმოებს ერთგვაროვან (ანალოგიურ) აქტივებზე არსებული სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ცვეთადი აქტივისათვის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენის მიზნით მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად ვერ განისაზღვრება ერთგვაროვანი (ანალოგიური) აქტივები, ერთეულს სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში შეუძლია შეიმუშავოს და დაამტკიცოს ცვეთის დარიცხვისათვის გამოსაყენებელი შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები. აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება ძირითადი აქტივების სახით არსებულ გასაყიდად გამიზნულ აქტივებს, დაუმთავრებელ მშენებლობას, მიწას (გარდა კარიერებისა და ნაგავსაყრელებისა), საბიბლიოთეკო ფონდს, ასევე, აქტივებს, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული. ყველა დანარჩენ აქტივთან მიმართებით, ერთეული თავად განსაზღვრავს განუსაზღვრელი ვადისაა მოცემული აქტივი თუ განსაზღვრული ვადის. თუ განსაზღვრული ვადისაა მოცემული აქტივი, ცვეთის დასარიცხად ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადა, ხოლო თუ განუსაზღვრელი ვადის - ასეთ შემთხვევაში ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება **IPSAS 16**-ის - „საინვესტიციო ქონება“ - შესაბამისად.

საინვესტიციო ქონებად განხილულია ისეთი უძრავი ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელიც გამიზნულია შემოსავლების მისაღებად იჯარით გაცემის გზით ან კაპიტალის ღირებულების ნაზრდის მისაღებად.

საინვესტიციო ქონების აქტივად აღიარებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მოსალოდნელია, რომ ერთეული მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებულ სასარგებლო მომსახურების პოტენციალს; და
- შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების ან სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან წარმოადგენს ერთეულის მიერ შექმნილ აქტივს, ან სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, თუ საინვესტიციო ქონების შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის გზით. არაგაცვლითი ოპერაციებით საინვესტიციო ქონების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, საინვესტიციო ქონება შესაძლებელია შეფასებული იყოს გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების





განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით, ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

შემნიღილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულებაში შეტანილია შესყიდვის ფასი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯი. პირდაპირი დანახარჯები მოიცავს პროფესიული იურიდიული მოსახურების ღირებულებას, გადასახადს ქონების გადაცემაზე და სხვა საოპერაციო ხარჯებს.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასებისთვის ძირითადად გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად შემცირებულია ცვეთის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით.

შემდგომი დანახარჯები, როგორც წესი, აღიარებულია შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანახარჯების გაწევის შედეგად იზრდება/უმჯობესდება აქტივის მწარმოებლურობა ან/და ფუნქციონალურობა. კერძოდ, განახლების, რეკონსტრუქციის ან გაფართოების სამუშაოების შედეგად თუ მნიშვნელოვნად იზრდება აქტივის საწარმოო სიმძლავრე, უმჯობესდება ხარისხიან ხანგრძლივდება არსებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, აღნიშნული სამუშაოები განიხილება არსებით გაუმჯობესებად და მასთან დაკავშირებული დანახარჯები შეტანილია აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხის აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების გზით. ცვეთის დარიცხვისათვის ძირითადად, გამოყენებულია წრფივი მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რომელიმე მეთოდის (შემცირებადი ნაშთის მეთოდის, წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი და სხვ.) გამოყენება უფრო მეტად ასახავს აქტივში განივებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების ხასიათს. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ დადგენილი სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები. ცვეთის დარიცხვა იმ აქტივებზე, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადები ზემოაღნიშნული ინსტრუქციით არ არის განსაზღვრული, წარმოებს ერთგვაროვან (ანალოგიურ) აქტივებზე არსებული სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ცვეთადი აქტივისათვის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენის მიზნით მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად ვერ განისაზღვრება ერთგვაროვანი (ანალოგიური) აქტივები, ერთეულს სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში შეუძლია შეიმუშავოს და დაამტკიცოს ცვეთის დარიცხვისათვის გამოსაყენებელი შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები. აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებულ გასაყიდად გამოიზნულ აქტივებს, დაუმთავრებელ მშენებლობას, მიწას, ასევე, აქტივებს, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული. ყველა დანარჩენ აქტივთან მიმართებით, ერთეული თავად განსაზღვრავს განუსაზღვრელი ვადისაა მოცემული აქტივი თუ განსაზღვრული ვადის. თუ განსაზღვრული ვადისაა მოცემული აქტივი, ცვეთის დასარიცხად ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადა, ხოლო თუ განუსაზღვრელი ვადის - ასეთ შემთხვევაში ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება **IPSAS 31-ის** -





არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან წარმოადგენს ერთეულის მიერ შექმნილ აქტივს, ან სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, თუ არამატერიალური აქტივი შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის გზით. არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას,

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია შეფასებული იყოს გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით, ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

არამატერიალური აქტივების თვითღირებულებაში შეტანილია:

- მისი შესყიდვის ფასი, იმპორტის მოსაკრებლის და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, შეღავათების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; და
- აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ანგარიშგების თარიღისათვის არამატერიალური აქტივების შემდგომი შეფასებისთვის გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად შემცირებულია ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით.

შემდგომი დანახარჯები, როგორც წესი, აღიარებულია შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანახარჯების გაწევის შედეგად იზრდება/უმჯობესდება აქტივის მწარმოებლობა ან/და ფუნქციონალურობა. კერძოდ, განახლების, რეკონსტრუქციის ან გაფართოების სამუშაოების შედეგად თუ მნიშვნელოვნად იზრდება აქტივის საწარმოო სიმძლავრე, უმჯობესდება ხარისხიან ხანგრძლივდება არსებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, აღნიშნული სამუშაოები განიხილება არსებით გაუმჯობესებად და მასთან დაკავშირებული დანახარჯები შეიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხის აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების გზით. ამორტიზაციის დარიცხვისათვის ძირითადად, გამოყენებულია წრფივი მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რომელიმე მეთოდის (შემცირებადი ნაშთის მეთოდის, წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი და სხვ.) გამოყენება უფრო მეტად ასახავს აქტივში განივთებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების ხასიათს. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ მოცემული სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის შესაბამისი წესები. აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, ამორტიზაცია არ ერიცხება ისეთ აქტივებს, როგორებიცაა არამატერიალური აქტივების სახით არსებული გასაყიდად გამოზნული აქტივები, ასევე, აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული. ყველა დანარჩენ აქტივთან მიმართებით, ერთეული თავად განსაზღვრავს განუსაზღვრელი ვადისაა მოცემული აქტივი თუ





განსაზღვრული ვადის. თუ განსაზღვრული ვადისაა მოცემული აქტივი, ამორტიზაციის დასარიცხად ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადა, ხოლო თუ განუსაზღვრელი ვადის -- ასეთ შემთხვევაში ამორტიზაციის დარიცხვა არ ხდება.
შეღავათიანი მომსახურების აქტივები

შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება **IPSAS 32**-ის - „შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი“- შესაბამისად.

შეღავათიანი მომსახურების აქტივები აღიარებულია საკუთარი ცვეთად/ამორტიზირებადი აქტივების მსგავსად.

შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებების აქტივების აღიარება ხდება მთავრობის აქტივების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ ამ აქტივების მშენებლობა ეტაპობრივად მიმდინარეობს, მთავრობის მიერ აღნიშნული აქტივები მშენებლობის პროცესში თავდაპირველად აღიარდება დაუმთავრებელი მშენებლობის სახით, თვითღირებულებით. ამავე დროს აღიარდება იგივე ღირებულების ფინანსური ვალდებულებაც. მშენებლობის დასრულების შემდგომ აღნიშნული აქტივები აღიარდება IPSAS 17-ის და IPSAS 31-ის მოთხოვნების შესაბამისად.

შეღავათიანი მომსახურების ვალდებულებების აღიარება შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღიარების დროს ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აქტივი მთავრობის უკვე არსებული აქტია.

შეღავათიანი მომსახურების აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.

სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შეღავათიანი მომსახურების აქტივი წარმოადგენს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე გაფორმებულ შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებასთან დაკავშირებულ თანხებს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს "ტავ ურბან ჯორჯია"-სა და სახელმწიფო შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"-ს შორის, ხოლო სახელმწიფო საწარმოს აქტივების და ვალდებულებების სრულად კონსოლიდირება არ ხდება კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში. შპს-ში სახელმწიფოს წილი აისახება „აქციების და სხვა კაპიტალის“ სახით, არსებითობის პრინციპის დაცვით - აქტივის მნიშვნელობისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში შეღავათიანი მომსახურების აქტივი თავდაპირველად ასახულია თვითღირებულებით, რომელიც ყოველწლიურად მცირდება დარიცხული ცვეთის ოდენობით, IPSAS-ებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით. შეღავათიანი მომსახურების აქტივთან ერთად აღიარებულია შეღავათიანი მომსახურებასთან დაკავშირებული შესაბამისი ვალდებულებაც.

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება **IPSAS 13**-ის - „იჯარა“- შესაბამისად.

ფინანსური იჯარით მიღებული არაფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და აღიარდება, როგორც ძირითადი აქტივები, არამატერიალური აქტივები ან საინვესტიციო ქონება





ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები აღიარდება საკუთარი აქტივების მსგავსად.

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის ცვეთის/ამორტიზაციის განსაზღვრისათვის გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია

„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ. აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის ცვეთის/ამორტიზაციის თანხა სისტემატურად განაწილებულია იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ნავარაუდევია აღნიშნული აქტივის გამოყენება, მოიჯარის მიერ საკუთარი ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის/ამორტიზაციის პოლიტიკის შესაბამისად. თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მოიჯარე მიიღებს საკუთრების უფლებას ფინანსური იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, ფინანსური იჯარით აღებული აქტივის სავარაუდო გამოყენების ვადად განსაზღვრულია აღნიშნული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსური იჯარით აღებულ აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია დაერიცხება იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი დროის მონაკვეთის განმავლობაში.

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ფასეულობებს (ძვირფას ქვებს და ლითონებს, ხელოვნების ნიმუშებს და ა.შ), მატერიალურ არაწარმოებულ აქტივებს, გარდა მიწისა (მინერალურ და ენერგო რესურსებს, არაკულტივირებულ ბიოლოგიურ აქტივებს, წყლის რესურსებს, რადიოსიხშირულ სპექტრს და სხვ.), მემკვიდრეობით აქტივებს (კულტურულ, ისტორიულ, ეკოლოგიურ აქტივებს), დაუმთავრებელ და გასაყიდად გამიზნულ/გადასაცემ აქტივებს და სხვ.

მოცემული აქტივებიდან უმეტესობას არ ერიცხება ცვეთა.

ვალდებულებები

ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების სახით.

ვალდებულებები მოკლევადიანადაა (მიმდინარედ) განხილული, თუ იგი ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებს:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლისგანმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვისგანმავლობაში; ან
- ერთეულს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვისგანმავლობაში.

ყველა სხვა ვალდებულება, რომლებიც არ მიეკუთვნება მოკლევადიან ვალდებულებებს, გრძელვადიან ვალდებულებებად განიხილება.

მოკლევადიანი ნასესხები თანხები

მოკლევადიანი ნასესხები თანხების სახით ასახულია მოკლევადიანი სესხები და მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა როგორც საბიუჯეტო, ასევე, არასაბიუჯეტო (საკუთარი სახსრებით), ეროვნული ვალუტის და უცხოური ვალუტის მიხედვით. ამასთან, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული





ნასესხები თანხები ანგარიშგების თარიღისათვის გადაანგარიშებულია საანგარიშგებო ვალუტაში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიაში ასევე გაერთიანებულია შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებების და აგრეთვე, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი.

მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს საგადასახადო კრედიტორულ დავალიანებებს, თანამშრომლებთან დაკავშირებულ გადასახდელებს, საქონელსა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებით კრედიტორულ დავალიანებებს, გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილ კრედიტორულ დავალიანებებს და სხვა მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს.

მოკლევადიანი საგადასახადო კრედიტორული დავალიანებები მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს გადასახადების სახეების მიხედვით.

თანამშრომლებთან დაკავშირებული მოკლევადიანი გადასახდელები აერთიანებს თანამშრომლების მიმართ სხვადასხვა მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს, მათ შორის, შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებითდა სხვ.

საქონლისა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებით მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებში ასახულია ისეთი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც უკავშირდება საქონლისა და მომსახურების მოწოდებას.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები აერთიანებს სხვადასხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის (მათ შორის, ძირითადი აქტივის, არამატერიალური აქტივის და ა.შ) მოწოდებასთან დაკავშირებულ მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს.

სხვა მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებში ასახულია ისეთი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, რომელთა ასახვა არაა გათვალისწინებული მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების სხვა ანგარიშებზე.

გადასახდელი პროცენტი

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ისეთ მოკლევადიან გადასახდელ პროცენტებს, რაც უკავშირდება ნასესხებ სახსრებს, ფასიან ქაღალდებს, გარდა აქციებისა, ფინანსურ იჯარას და სხვ.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გამოიჯნული საგარეო ვალებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯები, ვალის საკომისიო ხარჯებისგან. საპროცენტო ხარჯების და საკომისიო ხარჯების აღრიცხვა ხდება საკასო მეთოდით და ანაზღაურება ხდება საბიუჯეტო კლასიფიკაციის „პროცენტი“-ს მუხლით, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროში ანგარიშგების თარიღისთვის არ არის შემუშავებული ვალების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკა. 2026 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი გეგმავს მთავრობის ვალის პორტფელის ინსტრუმენტების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით. აღნიშნული ცვლილების შედეგად, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი, მთავრობის ვალის ყოველთვიური სტატისტიკის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, ყოველთვიურად ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს ვალის პორტფელის ძირითად თანხას მასზე დარიცხული პროცენტის და საკომისიო ხარჯების ოდენობასთან ერთად.

ანარიცხები

აღნიშნულ კატეგორიაში ასახულია მოკლევადიანი ანარიცხები - ისეთი მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ან/და თანხა განუსაზღვრელია.





ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხები ასახულია საბალანსო მუხლად, მათ მიერ სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების, პროცედურების და დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, ორგანიზაციების მიერ ანარიცხებით ვალდებულების აღიარებისათვის საბიუჯეტო ასიგნების არსებობა არ მოითხოვება.

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ისეთ მოკლევადიან არაფულად ვალდებულებებს, რომლებიც უკავშირდება ავანსად მიღებულ შემოსავლებს. კერძოდ, საგადასახადო შემოსავლებს, არასაგადასახადო შემოსავლებს (იჯარას, გრანტებს და სხვა არაგაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლებს და სხვა არასაგადასახადო შემოსავლებს).

ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით

აღნიშნულ კატეგორიაში აისახება ხაზინაში და კანონმდებლობის შესაბამისად კომერციული ბანკების ანგარიშებზე დროებით განთავსებული სახსრები,

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიან ვალდებულებებად განხილულია ყველა ის ვალდებულება, რაც არ წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებას.

გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ფასიანი ქაღალდების სახით არსებულ გრძელვადიან ვალდებულებებს როგორც ეროვნულ, ასევე, უცხოურ ვალუტაში. ამასთან, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფასიანი ქაღალდები ანგარიშგების თარიღისათვის გადაყვანილია საანგარიშგებო ვალუტაში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხების სახით ასახულია სესხები როგორც საბიუჯეტო, ასევე, არასაბიუჯეტო (საკუთარი სახსრებით, ეროვნული ვალუტის და უცხოური ვალუტის მიხედვით. ამასთან, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები ანგარიშგების თარიღისათვის გადაყვანილია საანგარიშგებო ვალუტაში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულებები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მიღებულ აქტივებთან დაკავშირებით წარმოქმნილ გრძელვადიან დ=ფინანსურ ვალდებულებებს,

შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით გრძელვადიანი ვალდებულებები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებების ფარგლებში მიღებულ აქტივებთან დაკავშირებით წარმოქმნილ გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებს,

გრძელვადიანი ანარიცხები

აღნიშნულ კატეგორიაში ასახულია გრძელვადიანი ანარიცხები - ისეთი გრძელვადიანი ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ან/და თანხა განუსაზღვრელია.





ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გდმელვადიანი ანარიცხები ასახულია საბალანსო მუხლად, გრძელვადიანი ანარიცხების აღიარებისთვის პროცედურები და წესები განისაზღვრება მოკლევადიანი ანარიცხების მსგავსად.

სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხულ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს, არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხულ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს, გრძელვადიან ფულად და არაფულად ვალდებულებებს არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით, ავანსად მიღებულ გრძელვადიან შემოსავლებს და სხვა დანარჩენ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს და არაფულად ვალდებულებებს.

წმინდა აქტივები/კაპიტალი

წმინდა აქტივები/კაპიტალი წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია აქტივებსა დავალდებულებებს შორის სხვაობით.

კაპიტალში შენატანი

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს კაპიტალში შენატანებს როგორც ფინანსური აქტივების სახით, ასევე, არაფინანსურიაქტივების სახით.

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი გაანგარიშებულია გასულ წლებში მიღებული ნამეტის/დეფიციტის გაუნაწილებელი თანხების და საანგარიშგებო პერიოდის გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის თანხის, დაჯამებით. გაუნაწილებელ ნამეტსა და დეფიციტზე გავლენას ახდენს ასევე კაპიტალის კორექტირებები, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენებით წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშებით, ერთჯერადი გადაფასებითა და კაპიტალის სხვა ცვლილებებით.

ფინანსური შედეგების ანგარიშგება

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები და გაიანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი და დეფიციტი.

შემოსავლები

შემოსავლები აერთიანებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ საგადასახადო შემოსავლებს, სოციალურ შენატანებს, სანქციებს, ჯარიმებს, საურავებს, გრანტებს და ტრანსფერებს და არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიაში მოცემულია ისეთი შემოსავლები, როგორებიცაა შიდა ტრანსფერები, გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლები (პროცენტები, აქტივების გაყიდვებიდან ნამეტი და სხვა შემოსავლები).

საგადასახადო შემოსავლები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს საგადასახადო შემოსავლებს, გადასახადების სახეების მიხედვით, რომელთა გაანგარიშება და მიღება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.





ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, საგადასახადო შემოსავლები აღირიცხება საკასო მეთოდის შესაბამისად. აღნიშნული წარმოადგენს დარიცხვის მეთოდით აღრიცხვასთან დაკავშირებით IPSAS 23 სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრას, რაც გამოიყენება IPSAS სტანდარტების დანერგვის გარდამავალ პერიოდში, ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალის⁴ სრულად ამოქმედებამდე.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ დაწესებულია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- აქციზი;
- იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი, საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი გადასახადები სრულად ირიცხება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში.

სსიპ - შემოსავლების სამსახური, “საქართველოს საგადასახადო კოდექსის” თანახმად, ვალდებულია გააკონტროლოს გადასახადების გამოანგარიშების სისწორე და სისრულე და მათი დროულად გადახდა, ასევე უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელთა დროულად აღრიცხვა; განახორციელოს დარიცხული და ბიუჯეტებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა და შეადგინოს ანგარიშგება გადახდილი გადასახადების შესახებ, ადასახადის გადამხდელს დაუბრუნონ ზედმეტად გადახდილი თანხა კოდექსით დადგენილი წესით. გადასახადის გადახდის დღედ ითვლება გადასახადის თანხის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე, თუ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. გადასახადის, აგრეთვე გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადა დადგენილია თითოეული გადასახადის მიხედვით.

„საგადასახადო კოდექსის“ თანახმად. გადასახადის დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის თანხის აღრიცხვასა და ასახვას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე, რომლის წარმოების წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ. გადასახადის ასახვის საფუძველად გამოყენებული დოკუმენტების ნუსხა განსაზღვრულია ზემოაღნიშნული კოდექსით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ, რომელის წინაშეც გადამხდელები პერიოდულად ახდენენ დეკლარირებას და რომელიც ახორციელებს კონკრეტული გადასახადის ადმინისტრირებას და რომლის ვალდებულებაა IPSAS-ის მიხედვით გადასახადების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა, გადასახადები აღირიცხება საკასო მეთოდით. შემოსავალი აღიარდება, გადასახადით დაბეგვრის შედეგად წარმოქმნილ რესურსებზე კონტროლის მოიპოვების მომენტში, რაც უზრუნველყოფილია ამ რესურსების მიღებისას. სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრა განპირობებულია ზოგიერთი საგადასახადო ნაკადის საიმედოდ შეფასების სირთულეებით და ძალაშია ხაზინის ელექტრონული მთავარი წიგნის შემოსავლის დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის ფუნქციონალის სრულად ამოქმედებამდე. სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან, ყველა გადასახადის სახაზინო კოდის გაუქმებისა და გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდის ამოქმედების

⁴ დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნი უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქციის და ჩანაწერის ერთიან სისტემაში ინტეგრირებას, IPSAS-ზე დაფუძნებული ერთიანი ანგარიშთა გეგმის საფუძველზე და მთავრობის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის 25 შესახებ ინფორმაციის მომზადებას დროის რეალურ რეჟიმში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ზრდას და მენეჯმენტისთვის ინფორმაციების მომზადებას საფინანსო რესურსების ეფექტიან ხარჯვაზე გადაწყვეტილებების მისაღებად.





შედეგად, გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით. ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული თანხის გადასახადის სახეების მიხედვით განაწილება ხდება შემდეგი წესით:

- 2016 წლის 1 იანვრიდან, ერთიანი სახაზინო კოდის რეფორმის შემდგომ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების ბიუჯეტში გადახდისას საგადახდო დავალებაში არ მიეთითება გადასახადის განმსაზღვრელი კოდი. გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია ხაზინიდან მიეწოდება შემოსავლების სამსახურს, რომელიც ცალკეული გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილ თანხას განაწილებს ამ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ვალდებულებების მიხედვით. გადახდილი თანხის ბარათზე არსებულ აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებებზე განაწილება ხდება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი თანმიმდევრობით – გადასახადის თანხა, ჯარიმა და საურავი.
- ძირითადი გადასახადების მიხედვით აღიარებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში, რომელთა წარმოშობა მოხდა ერთ კალენდარულ დღეს, გადახდილი თანხის მიკუთვნება ხდება იმ გადასახადის სახეზე, რომლის დარიცხვაც დროში უფრო ადრე მოხდა.
- ხაზინიდან გადახდილი თანხების შესახებ მიღებული ინფორმაციით გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათის მიხედვით, ყოველდღიური შესრულების მიზნებისათვის ვალდებულებების აღრიცხვა ხორციელდება სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ 24 საათამდე, შესაბამისად, ამ ვადამდე დაფიქსირებულ ვალდებულებებზე ხდება გადახდილი თანხების განაწილება. აღნიშნული დროის შემდეგ დეკლარირებული/დარიცხული ვალდებულებები შესრულების მიზნებისათვის აღიარდება შემდეგ სამუშაო დღეს.
- იმ შემთხვევაში, თუ პირს ერიცხება საგადასახადო ვალდებულება რამდენიმე გადასახადში და გადაიხდა თანხა, რომელიც საკმარისი არ არის გადასახადების მიხედვით არსებული დავალიანების სრულად დასაფარავად, თანხის განაწილება მოხდება ცალკეული გადასახადის ვალდებულების წარმოშობის ვადის მიხედვით. შესაბამისად, გადახდილი თანხით პირველად დაიფარება უფრო ადრე წარმოშობილი ვალდებულება. ანალოგიური თანმიმდევრობით მოხდება სანქციაში არსებული ვალდებულების დაფარვა. გადასახადის, ჯარიმისა და საურავის მიხედვით ბარათზე არსებული ვალდებულების დაფარვით განისაზღვრება ცალკეული გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი თანხები. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის ბარათებზე ვალდებულების მიხედვით თანხების გადანაწილება წარმოადგენს დღის შერულებას.
- იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი გადაიხდის თანხას და მას ბარათზე არ გააჩნია ვალდებულება, გადახდილი თანხა აისახება დღის შესრულებაში სხვა გადასახადებში. შემდგომში, თუ გადასახადის გადამხდელს წარმოექმნა საგადასახადო ვალდებულება მისი დაფარვა მოხდება ზედმეტობიდან და შესაბამისი აისახება დღის შესრულებაში.

IPSAS 23-ის თანახმად, გადასახადებიდან შემოსავალი წარმოიქმნება მხოლოდ მთავრობისათვის, რომელიც გადასახადს აწესებს, და არა სხვა ერთეულებისათვის. თუ ცენტრალური მთავრობის მიერ დაწესებული გადასახადი, რომლის მთელი ამონაგებიც (ან ნაწილი) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს გადაეცემა მიმდინარე ასიგნებების საფუძველზე, ცენტრალური მთავრობა მოცემული გადასახადისთვის აღიარებს აქტივებს და შემოსავალს, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე განხორციელებული ტრანსფერისათვის აქტივების შემცირებას და ხარჯს. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო აღიარებს აქტივებს და შემოსავალს მიღებული ტრანსფერისათვის. IPSAS-ის ამ მოთხოვნიდან გადახრით, მუნიციპალიტეტისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) განაწილება ხდება საბიუჯეტო კოდექსით პროცენტული განაწილების თაობაზე დადგენილი წესის საფუძველზე, გარდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 164-ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა.





გადასახადების საკასო მეთოდით აღრიცხვის პირობებით უზრუნველყოფილია IPSAS-ის მოთხოვნა - საგადასახადო ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი აქტივების შეფასება მათი შეძენის დღეს არსებული რეალური ღირებულებით, ფულადი სახსრების ჩარიცხვა ხაზინის ერთიან ანგარიშზე. IPSAS-ით განსაზღვრული საგადასახადო სისტემით ანაზღაურებული ხარჯებით და საგადასახადო დანახარჯებით შემოსავლების ურთიერთგადაფარვა არ ხდება.

შეცდომით აღიარებული საგადასახადო შემოსავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში ანულირდება უკუგატარებით. გადასახადის გადამხდელისთვის მის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ. ასევე, დადგენილია, რომ ცალკეულ შემთხვევაში, იმ გადასახადის გადამხდელის მიმართ, რომელიც ახორციელებს ელექტრონულ დეკლარირებას, შესაძლებელია განხორციელდეს ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის ავტომატური დაბრუნება. ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში ბიუჯეტის შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების და აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების მიზნით, გახსნილია სარეზერვო ქვეანგარიში, სადაც მიიმართება გადასახადების სახით მიღებული შემოსავლებიდან. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისი (ან ფიქსირებული) თანხის მოცულობა. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული სახსრების გარეშე. ბიუჯეტის შემოსულობის შესრულების აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოებისას კორექტირება ხდება ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის დაბრუნებული ან შემოსულობის სხვა სახეში გადატანილი თანხით.

IPSAS-ის თანახმად, საავანსო შემოსულობები, რომლებიც გადასახადით დასაბეგრი მოვლენის დადგომამდე მიღებული რესურსებია, შეიძლება წარმოიქმნას გადასახადებთან კავშირში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, გადასახადების საავანსო შემოსულობები, აღირიცხება როგორც შემოსავლის საკასო შესრულება, შესაბამისი გადასახადის სახეში.

საანგარიშგებო პერიოდში საგადასადო შემოსავლებია შემდეგი:

წარმოდგენილია ათას ლარებში

საგადასახადო შემოსავლები	2024 წელი	2023 წელი
ნაერთი ბიუჯეტი	23,290,005	19,732,620
მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტი	20,196,546	16,994,175

რაც შეეხება ჯარიმების ფინანსურ ანგარიშგებაში ცალკე მუხლად, საგადასახადო შემოსავლებისგან დამოუკიდებლად ასახვას, შემოსავლის სამსახურის მიერ IPSAS-ის მოთხოვნებისგან გადახრით ასახვა განპირობებულია კანონმდებლობის მოთხოვნით. IPSAS-ის თანახმად, „გადასახადები არ მოიცავს საურავებს ან კანონის დარღვევისთვის დაწესებულ სხვა სახის ჯარიმებს“. მიუხედავად IPSAS-ის ამ მოთხოვნისა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად, გადასახადებზე დაკისრებული ჯარიმები და საურავები აღიარდება IPSAS- დან გადახრით და ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება გადასახადებისგან დამოუკიდებლად. ჯარიმები და საურავები მიეკუთვნება გადასახადებს და ბიუჯეტის საკასო შესრულების ანგარიშგებაში აისახება გადასახადების სახით მიღებული შემოსავლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გადასახადებთან დაკავშირებით სანქცია/ჯარიმა/საურავების სახით მიღებული საკასო შემოსავლებია შემდეგი:

წარმოდგენილია ათას ლარებში

შემოსავლები	2024 წელი	2023 წელი
გადასახადებთან დაკავშირებით სანქციები/ჯარიმები/საურავები	49,500	347,800





სანქციები, ჯარიმები და საურავები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს სავალდებულო მიმდინარე ტრანსფერებს, რომლის დაკისრებაც ხდება სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის ან სხვა ადმინისტრაციული პროცედურების დარღვევისთვის. აქვე აისახება სასამართლოს გარეშე დაკისრებული სანქციები (ჯარიმები და საურავები)..

გრანტები

გრანტების სახით მიღებული შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, **IPSAS 23-ის - „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)“** - შესაბამისად.

გრანტების კატეგორია მოიცავს უცხო ქვეყნების მთავრობებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ მიმდინარე და კაპიტალურ გრანტებს როგორც ფულადს, ასევე, სასაქონლოს. ამასთან, კონსოლიდაციის მიზნებისათვის იგივე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები ამოთიშულია.

ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები

ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები აერთიანებს მიმდინარე და კაპიტალურ ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციებით.

არაგაცვლითი ოპერაციებით წარმოქმნილი მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერები რომლებიც აერთიანებს ფიზიკური პირებიდან, კერძო არამომგებიანი ორგანიზაციებიდან, არასამთავრობო ფონდებიდან, ორგანიზაციებიდან, საწარმოებიდან და კორპორაციებიდან (მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა) როგორც ფულადი შემოწირულობების, ასევე, არაფულადი საჩუქრების სახით მიღებულ შემოსავლებს, ასახულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, **IPSAS 23-ის - „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)“** - შესაბამისად, ხოლო გაცვლითი ოპერაციებით წარმოქმნილი სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები ასახულია **IPSAS 9-ის - „შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან“** - მოთხოვნების გათვალისწინებით.

შიდა ტრანსფერებით შემოსავლები

შიდა ტრანსფერებით შემოსავლები მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ისეთ შიდა ტრანსფერებით შემოსავლებს, რომლებიც არ არის ამოთიშული კონსოლიდაციისას. ამასთან, იგივე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან შიდა ტრანსფერებით მიღებული შემოსავლები კონსოლიდაციის მიზნებისათვის ამოთიშულია.

არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ნამეტი

არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ნამეტი მოიცავს არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით წარმოქმნილ ნამეტს. აღნიშნული შემოსავლები ასახულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, **IPSAS 9-ის - „შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან“** - შესაბამისად.

საპროცენტო შემოსავლები

აღნიშნულ კატეგორიაში ასახულია გაცემულ სესხებსა და ფინანსურ იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემულ აქტივებზე მისაღები პროცენტები, დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, **IPSAS 9-ის - „შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან“** - მოთხოვნების შესაბამისად.





ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსთა სამინისტროში არ არის შემუშავებული და დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა გადასესხებული სესხების აღრიცხვასთან დაკავშირებით: მათ შორის, არ არის შემუშავებული წესები და პირობები, რომლის მიხედვითაც მოხდება საპროცენტო შემოსავლების დროში გამიჯვნა და განაწილება, საპროცენტო შემოსავლების აღიარება წარმოებს IPSAS-ებიდან გადახრით - ნაცვლად დარიცხვის მეთოდისა, საპროცენტო შემოსავლების აღიარება ხდება გადახდის თარიღის მიხედვით (საკასო მეთოდით). 2026 წლიდან ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის მიერ იგეგმება აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით, რომელიც უზრუნველყოფს საპროცენტო შემოსავლების სიზუსტეს.

გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული სხვა შემოსავლები

გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული სხვა შემოსავლები მოიცავს ისეთ გაცვლით შემოსავლებს, რომლებიც არ წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს ან არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებულ ნამეტს. აღნიშნული შემოსავლები ასახულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, **IPSAS 9-ის - „შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან“** - შესაბამისად.

გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს მატერიალური მარაგების, ფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების, საინვესტიციო ქონების. არამატერიალური აქტივების შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში მიღებული აქტივების, ფინანსური იჯარის ფარგლებში მიღებული აქტივების და სხვა არაფინანსური აქტივების საეჭვო მოთხოვნების, ღირებულების შემცირების და გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები..

სხვადასხვა შემოსავლები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს ისეთი ტიპის შემოსავლებს, როგორებიცაა რენტიდან მიღებული შემოსავლები, კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება, ფლობიდან მიღებული მოგება, საეჭვო მოთხოვნების, ღირებულების შემცირების და გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი მოგებები.

ხარჯები

ხარჯები აერთიანებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების ხარჯებს, საქონელსა და მომსახურებას, გრანტებს, ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს, სხვა ხარჯებსა და სუბსიდიებს, სოციალური დახმარების/უზრუნველყოფის ხარჯებს. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიაში მოცემულია ისეთი ხარჯები, როგორებიცაა შიდა ტრანსფერები, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები, საეჭვო (უიმედო) მოთხოვნების /გაუფასურების/ღირებულების შემცირების ხარჯები, გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი, ფინანსური ხარჯები და სხვადასხვა ხარჯები.

შრომის ანაზღაურების ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს შტატით მომუშავის მიერ შესრულებული სამუშაოს საზღაურს როგორც ფულადი, ასევე, სასაქონლო ფორმით. აქვე აისახება შტატით მომუშავის კუთვნილი შვებულების საზღაურიც.

საქონელი და მომსახურება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებებს, მივლინებებთან დაკავშირებულ ხარჯებს, ოფისის ხარჯებს, წარმომადგენლობით ხარჯებს კვებისა და სამედიცინო ხარჯებს, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს, სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯებს და სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯებს.



აღნიშნული კატეგორია მოიცავს უცხო ქვეყნების მთავრობებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე და სახელმწიფო ერთეულებზე გაცემულ ფულად და სასაქონლო გრანტებს, როგორც მიმდინარე, ისე, კაპიტალური სახით. ამასთან, იგივე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული გრანტები კონსოლიდაციის მიზნებისათვის ამოთიშულია.

სუბსიდიები

სუბსიდიების კატეგორია აერთიანებს სახელმწიფო საწარმოებზე, კერძო საწარმოებზე და სხვა სექტორებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერებს. ამავე კატეგორიაში შედის ასევე სუბსიდიებთან დაკავშირებული ხარჯები, რომელთა ცალკე აღრიცხვა არ ხდება.

სხვა ხარჯები, გარდა პროცენტისა

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: რენტის ხარჯს, ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პროცენტისა, გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებს და ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს.

ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები აერთიანებს მიმდინარე და კაპიტალურ ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციებით.

აღნიშნულ კატეგორიაში შემავალი რენტის ხარჯები მოიცავს მიწის, წიაღისეული აქტივების და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი (არაწარმოებული) აქტივების იჯარაზე გაწეული ხარჯებს, ხოლო ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, ორგანიზაციების მიერ არაწარმოებული აქტივის გამოყენებისათვის აქტივების მფლობელისათვის გაწეულ ხარჯებს.

შიდა ტრანსფერებით ხარჯები

შიდა ტრანსფერებით ხარჯები მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ისეთ შიდა ტრანსფერებით ხარჯებს, რომლებიც არ არის ამოთიშული კონსოლიდაციისას. ამასთან, იგივე დონის სახელმწიფო ერთეულებზე შიდა ტრანსფერებით გაწეული ხარჯები კონსოლიდაციის მიზნებისათვის ამოთიშულია.

ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები

ცვეთის ხარჯი აერთიანებს ცვეთადი აქტივების ცვეთადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს ამორტიზირებადი აქტივების ამორტიზირებადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება IPSAS-ების მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის №289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ შესაბამისად.

სოციალური დახმარების/უზრუნველყოფის ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სახელმწიფოს ხარჯს საპენსიო სქემაში შენატანით, დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებით ხარჯებს, სხვა სოციალურ დახმარებებით ხარჯებს და სხვ.



საპროცენტო ხარჯები

საპროცენტო ხარჯები მოიცავს პროცენტის სახით არარეზიდენტებზე, რეზიდენტებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა და სახელმწიფო ერთეულებზე გადახდილ თანხებს ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, სესხებისათვის და ფინანსური იჯარისათვის.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი მოიცავს გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით წარმოქმნილ ზარალს.

გაუფასურების ხარჯები

აღიშნული კატეგორია აერთიანებს მატერიალური მარაგების, ფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების, საინვესტიციო ქონების. არამატერიალური აქტივების შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში მიღებული აქტივების, ფინანსური იჯარის ფარგლებში მიღებული აქტივების და სხვა არაფინანსური აქტივების საეკვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულების შემცირების ხარჯებს.

სხვადასხვა ხარჯები

აღიშნული კატეგორია აერთიანებს კურსთა სხვაობის შედეგად ფლობიდან წარმოქმნილ ზარალს და ფლობის შედეგად გაწეული სხვა ზარალს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია პირდაპირი მეთოდით, რაც გულისხმობს ანგარიშგების თარიღისათვის ფულადი სახსრების წყაროების და გამოყენების შესახებ, ასევე, ფულადი სახსრების ნაშთების შესახებ სააღრიცხვო მონაცემებზე ინფორმაციის წარმოდგენას საანგარიშგებო პერიოდში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების სახით.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამზადებენ მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთეულები:

- ✓ სახაზინო სამსახური, რომელიც IPSAS-ების მოთხოვნების შესაბამისად, აკონტროლებს ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ ფულად სახსრებს;
- ✓ უცხო ქვეყნებში საქართველოს საელჩოები და წარმომადგენლობები;
- ✓ სხვა ერთეულები, რომლებიც IPSAS-ების მოთხოვნების შესაბამისად, აკონტროლებენ ფულად სახსრებს.

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება ასახავს წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებებს საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნულ ანგარიშგებაში თავს იყრის ისეთი ინფორმაცია, როგორცაა:

- სააღრიცხვო პოლიტიკის რესტროსპექტული გამოყენებით, წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების რესტროსპექტული გადაანგარიშებით, ასევე, ერთჯერადი გადაფასებით და კაპიტალის სხვა ცვლილებებით გამოწვეულ კაპიტალის ზრდას/კლებას;
- წმინდა აქტივების/კაპიტალის გადაანგარიშების შედეგად მიღებულ საწყისი ნაშთის შესახებ;





წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ, რომელიც მოიცავს დამფუძნებლების შენატანებს, საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგს და დამფუძნებლებზე გადახდილ თანხებს;

- წმინდა აქტივების/კაპიტალის საბოლოო ნაშთის შესახებ.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

სახელმწიფო ერთეულების ფინანსური ანგარიშგების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალების გაზრდის მიზნით, მომზადებულია ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება, **IPSAS 24-ის - „ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში“** - მოთხოვნების შესაბამისად. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში ბიუჯეტის „გეგმური“ და „ფაქტობრივი“ მონაცემები წარმოდგენილია საკასო მეთოდის შესაბამისად.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება წარმოდგენილია მრავალსვეტიანი ფორმატის სახით, სადაც შემოსულობების და გადასახდელების თითოეული კატეგორიისათვის ცალ- ცალკეა მითითებული დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი, დაზუსტებული გეგმური მაჩვენებლები, ამ მაჩვენებლების ფაქტობრივი შესრულება და ფაქტობრივი შესრულების პროცენტული მაჩვენებელი.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მომზადებულია მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებთან დაკავშირებით.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მიზნებისათვის, დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს საბიუჯეტო წლის მანძილზე მოსალოდნელ საბიუჯეტო შემოსულობებს და გადასახდელებს, რომლებიც დამტკიცებულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ. საბოლოო (დაზუსტებული) ბიუჯეტი მოიცავს საბიუჯეტო პერიოდში ერთეულის ან ლონისძიების დასაფინანსებლად თავდაპირველად გამოყოფილი თანხების ყველა ნებადართულ ცვლილებას ან შესწორებას.

ფინანსური ანგარიშგების მონაცემები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების მონაცემებთან ასევე შედარებულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა №29-ში. ბიუჯეტის შესრულებასა და წმინდა ფულად სახსრებს შორის განსხვავებები გამოწვეულია საბიუჯეტო კლასიფიკაციასა და IPSAS-ების მოთხოვნებს შორის განსხვავებებით, ასევე, ერთეულების მომცველობით. (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება მოიცავს მხოლოდ საბიუჯეტო სახსრებს, ხოლო ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც საბიუჯეტო სახსრებს, ისე კანონმდებლობით ნებადართულ არასაბიუჯეტო (საკუთარ) სახსრებს.





სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების კორექტირებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების სრულყოფის მიზნით, მხარჯავი დაწესებულებების აგრეგირებული ინფორმაცია დაკორექტირებულია ფინანსთა სამინისტროს რეესტრებიდან და ხაზინის ინფორმაციიდან შემდეგი მონაცემებით:

- სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესახებ, გარდა იმ ინფორმაციისა, რომლებიც ორგანიზაციების მიერ ასახულია ფინანსურ ანგარიშგებებში (პროგრამული კოდი 56 00);
- საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გადასესხებული სახსრების, პროცენტის და პირგასამტეხლოს შესახებ;
- საქართველოს საპატრიარქოს და სახელმწიფო დაზვერვის სამსახურის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ფინანსური აქტივების ზრდასა და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით.

ქვემოთ წარმოდგენილია შესადარისი ინფორმაცია 2024 და 2023 წლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ის ნაწილი, რომლებიც არ არის ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული.

წარმოდგენილია ათას ლარებში

გადასახდელების სახეები	2024 წელი	2023 წელი
საქონელი და მომსახურება	1	1
პროცენტი	-	23,278
სუბსიდიები	69	914
გრანტები	20,580	19,805
სოციალური უზრუნველყოფა	390,000	369,500
სხვა ხარჯები	11,046	25,733
არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	45,081	354,353
ვალდებულებების კლება	-	-
სულ	466,778	793,583

საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გადასესხებული სახსრების შესახებ ფინანსთა სამინისტროს რეესტრის მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31





დეკემბრის მდგომარეობით:

წარმოდგენილია ათას ლარებში

გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხები		
მოკლევადიანი სესხები	342,194	280,660
გრძელვადიანი სესხები	2,547,569	2,620,749
სულ	2,889,763	2,901,409

გადასესხებულ სახსრებთან დაკავშირებით დარიცხული და მიღებული პროცენტის და პირგასამტეხლოს სახით მიღებული შემოსავლები მოცემულია ცხრილის სახით:

წარმოდგენილია ათას ლარებში

გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	პროცენტი საანგარიშგებო პერიოდში		პირგასამტეხლო და სხვა შემოსავლები საანგარიშგებო პერიოდში	
	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული
საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხები	128,828	131,241	38	38

საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გადასესხებული სახსრებთან დაკავშირებით, ბიუჯეტის შესრულების მონაცემებით დაკორექტირებულია კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება:

გადასახდლების სახეები	2024 წელი	2023 წელი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
სხვა ხარჯები	3,114	16,805
ფინანსური აქტივების ზრდა	83,263	119,944
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო		
ფინანსური აქტივების ზრდა	117,686	186,906

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების სახაზინო სამსახურის ინფორმაცია სასესხო ფინანსური აქტივების კლების შესახებ ფინანსთა სამინისტროს ვალის მართვის დეპარტამენტის ინფორმაციას, სრულად არ შეესაბამება, რაც ძირითადად გამოწვეულია კურსთაშორის სხვაობით.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს საპატრიარქოს და სახელმწიფო დაზვერვის სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები, რომლითაც დაკორექტირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

წარმოდგენილია ათას ლარებში

გადასახდლების სახეები	2024 წელი	2023 წელი
საქართველოს დაზვერვის სამსახური		
საქონელი და მომსახურება	21,000	18,000
საქართველოს საპატრიარქო		
პროცენტი	39	47
სუბსიდიები	24,344	24,327
არაფინანსური აქტივების ზრდა	567	587





ვალდებულებების კლება	41	33
----------------------	----	----





ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილები შეღავათიანი მომსახურების აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესახებ, რომლითაც დაკორექტირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგეგმა:

წარმოდგენილია ათას ლარებში

№	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმების დასახელება	აქტივები	
		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	38,714	57,480
სულ ჯამი		38,714	57,480

წარმოდგენილია ათას ლარებში

№	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმების დასახელება	ფინანსური ვალდებულებები	
		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	38,714	57,480
სულ ჯამი		38,714	57,480



სხვა განმარტებითი შენიშვნები

პირობითი აქტივები

პირობითი აქტივები ორგანიზაციების განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია **IPSAS 19-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“** შესაბამისად.

პირობითი აქტივები ძირითადად უკავშირდება სასამართლო დავებს, რომელთა ღირებულება, როგორც წესი, გაანგარიშებულია იურიდიული სამსახურის/დეპარტამენტის მიერ მომზადებულმასალებზე დაყრდნობით, IPSAS 19-ის მოთხოვნების გათვალისწინებით.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ორგანიზაციების განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია **IPSAS 19-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“** შესაბამისად.

პირობითი ვალდებულებები ძირითადად უკავშირდება სასამართლო დავებს, რომელთა ღირებულება, როგორც წესი, გაანგარიშებულია იურიდიული სამსახურის/დეპარტამენტის მიერ მომზადებულ მასალებზე დაყრდნობით, IPSAS 19-ის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მთავრობის პირობითი ვალდებულებები, მოიცავს შემდეგს:

- ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან (IMF) აღებული სესხებს *(ემსახურება სებ-ი);
- შიდა ე.წ „ისტორიულ ვალს“

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეესტრებში მოცემული ეროვნული ბანკის მიერ აღებული და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების და მათზე დარიცხული პროცენტების მონაცემები საანგარიშგებო პერიოდისათვის,

წარმოდგენილია ათას ლარებში

ფინანსური ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები		პროცენტი საანგარიშგებო პერიოდში	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	დარიცხული	გადახდილი
ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან (IMF) აღებული სესხები	986,490	1,080,682	63,657	56,120





მოკლევადიანი	181,802	108,249		
გრძელვადიანი	804,688	972,433		

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი შიდა ე.წ "ისტორიული ვალი" 672,325 ათასი ლარის ოდენობით⁵, რომელიც არ არის ასახული ფინანსთა სამინისტროს რეესტრებში ასახულ სახელმწიფო სამინაო ვალში და რომელიც IPSAS-ების შესაბამისად, განიხილება პირობით ვალდებულებებად.

- მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილ დავალიანებას;
- ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილ დავალიანებას;
- რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხულ, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილ დავალიანებას;
- თურქმენეთიდან 1995 წლის ჩათვლით მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ საქართველოს მთავრობის დავალებით ქვეყნის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გადატვირთული პროდუქციის ანაზღაურებაში არსებულ დავალიანებას;
- საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილ ვალდებულებას;
- ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულებას;
- კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას;
- მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილ დავალიანებას;
- მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილ დავალიანებას;
- ყოფილი სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის“ მიერ ბლოკირებულ, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების

⁵ შიდა ე. წ. „ისტორიული ვალის“ მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია.





ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტოსახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანებას.

კაპიტალის კორექტირებები

საადრიცხო პოლიტიკის ცვლილებებით გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები ახსნილია შემდეგ ცხრილში:

№	თემატიკა	ტიპი	ორგანიზაცია	აღწერა
1	აქტივების რეკლასიფიკაცია	რეტროსპექტული	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აქტივების რეკლასიფიკაცია - მოკლევადიანი აქტივების ანგარიშიდან გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებში გადატანა
2	აქტივების რეკლასიფიკაცია	რეტროსპექტული	თავდაცვის სამინისტრო	აქტივების რეკლასიფიკირება - გრძელვადიანი მცირეფასიანის ძირითად აქტივებად, ცვეთის დარიცხვით

წინა პერიოდის არსებითი შეცდომებით გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები ახსნილია შემდეგ ცხრილში:

№	თემატიკა	ტიპი	ორგანიზაცია	აღწერა
1	აქტივების და ვალდებულებების კორექტირებები არსებითი შეცდომებით	რეტროსპექტული	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წინა პერიოდის ნაშთების რეტროსპექტიული კორექტირების შედეგად შეიცვალა სხვა არაფინანსური აქტივები, მატერიალური მარაგები, ძირითადი და არამატერიალური აქტივები, გრძელვადიანი ფინანსური აქტივები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები, მოკლევადიანი კრედიტორული ვალდებულებები, დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და წინასწარი გადახდები
2	საწარმოების კაპიტალის კორექტირება; აქტივების კორექტირება	რეტროსპექტული	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	კომპანიების მიერ წარდგენილი აუდიტირებული ანგარიშგების საფუძველზე კორექტირებები; გადასესხებული სახსრების და მოთხოვნების კორექტირებები
3	აქტივების და ვალდებულებების კორექტირება	რეტროსპექტული	საგარეო საქმეთა სამინისტრო	იჯარის გადასახადთან დაკავშირებით ფულადი სახსრების წაშლის, დებიტორების და ვალდებულებების კორექტირება





4	დაგვიანებული დოკუმენტაციით კორექტირებები; ცვეთის კორექტირება	რეტროსპექტული	თავდაცვის სამინისტრო	გასული პერიოდების მოვლენების ამსახველი დოკუმენტებით კორექტირებები, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურებს დროულად არ/ვერ მიეწოდებოდათ; სსიპ დელტას მიერ განხორციელებული ცვლილებები ცალკეული აქტივების ცვეთებთან დაკავშირებით.
5	აქტივების და ვალდებულებების კორექტირებები	რეტროსპექტული	შინაგან საქმეთა სამინისტრო	აქტივების და ვალდებულებების კორექტირებები არსებითი შეცდომების შედეგად
6	საწარმოების კაპიტალის კორექტირება	რეტროსპექტული	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების კაპიტალის კორექტირება კაპიტალ-მეთოდით – არააუდიტირებული ბალანსების საფუძველზე.
7	აქტივების და ვალდებულებების კორექტირებები	რეტროსპექტული	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	დებიტორული დავალიანებების, მატერიალური მარაგების, არამატერიალური აქტივების, ძირითადი აქტივების, სხვა არაფინანსური აქტივების, კრედიტორული დავალიანებების და სხვ. კორექტირებები
8	აქტივების და ვალდებულებების კორექტირებები	რეტროსპექტული	იუსტიციის სამინისტრო	აქტივების და ვალდებულებების კორექტირებები არსებითი შეცდომების შედეგად აპარატსა და დაქვემდებარებულ ხვადასხვა სსიპ-ებში
9	ინვესტიციების კორექტირება	/რეტროსპექტული	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სხვადასხვა კომპანიის და სსიპ-ის მიერ წარმოდგენილი აუდიტირებული ანგარიშგების საფუძველზე კორექტირებები „აწარმოე საქართველოში“, ქონების ეროვნული სააგენტო და სხვ
10	აქტივების დაკორექტირება	რეტროსპექტული	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	აქტივების ღირებულებების დაკორექტირება არსებითი შეცდომების შედეგად

კაპიტალის სხვა ცვლილებებით (ერთეულთა გაერთიანების და ა.შ შედეგად) გამოწვეული კაპიტალის სხვა კორექტირებები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

№	თემატიკა	ტიპი	ორგანიზაცია	აღწერა
---	----------	------	-------------	--------





1	რეორგანიზაციის შედეგად ინვესტიციების გაზრდა	რეტროსპექტული	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	შპს „სპორტმშენსერვისი“ და შპს „სთარინგ ჯორჯია“-ს საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო წილის ასახვა.
2	კაპიტალ-მეთოდის გამოყენება	რეტროსპექტული	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შედეგად კაპიტალის ზრდა

ერთჯერადი გადაფასებით გამოწვეული კაპიტალის ცვლილებები, რომლებიც გასწორდა რესტროსპექტულად, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

№	თემატიკა	ტიპი	ორგანიზაცია	აღწერა
	კაპიტალ-მეთოდის გამოყენება	რეტროსპექტული	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შედეგად კაპიტალის ზრდა
	აქტივების გადაფასება	რეტროსპექტული	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	აქტივების ერთჯერადი გადაფასების შედეგად ღირებულების ზრდა აპარატსა და „ინოვაციების სააგენტოში“
	აქტივების გადაფასება	რეტროსპექტული	საქართველოს პარლამენტი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები	სრულად ან/და ნაწილობრივ ამორტიზირებული სატრანსპორტო საშუალებების შეფასებები და რეალური ღირებულების განსაზღვრა
	აქტივების გადაფასება	რეტროსპექტული	იუსტიციის სამინისტრო	აქტივების ერთჯერადი გადაფასების შედეგად ღირებულების ცვლილება აპარატსა და სსიპ-ებში
	აქტივების გადაფასება	რეტროსპექტული	თავდაცვის სამინისტრო	აქტივების ერთჯერადი გადაფასების შედეგად ღირებულების ცვლილება აპარატსა და სსიპ- „დელტა“-ში
	აქტივების გადაფასება	რეტროსპექტული	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ასრულად გაცვეთილი ქტივების ერთჯერადი გადაფასების შედეგად ღირებულების ცვლილება
	აქტივების გადაფასება	რეტროსპექტული	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ქტივების ერთჯერადი გადაფასების შედეგად ღირებულების ცვლილება





აქტივების გადაფასება	რეტროსპექტიული	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ქტივების ერთჯერადი გადაფასების შედეგად ღირებულების ცვლილება
----------------------	----------------	---	---

სხვა პერსპექტიული ცვლილებები

წინა პერიოდ(ებ)ის არაარსებითი შეცდომები, რომლებიც გასწორდა პერსპექტიულად, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

№	თემატიკა	ტიპი	ორგანიზაცია	აღწერა
1	შემოსავლებით და ხარჯებით კორექტირებები; დებიტორული დავალიანებების კორექტირებები	პერსპექტიული	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შეცდომით ორმაგად ჩარიცხული თანხის უკან დაბრუნების ოპერაციების კორექტირებები; შემოსავლების რეკლასიფიკაცია; ხაზინის მიმართ არსებული მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების კორექტირებები 2023 წლის დაუდევლარირებელი სახელფასო თანხით
2	აქტივების კორექტირებები	პერსპექტიული	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ძირითადი აქტივების და არამატერიალური აქტივების პერსპექტიული კორექტირებები

არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენები ასახულია შემდეგ ცხრილში:

№	თემატიკა	ტიპი	ორგანიზაცია	აღწერა
1	სახელმწიფო გასაცემლების აღრიცხვის სპეციფიკა	პერსპექტიული	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემლების გადარიცხვისას, რაც აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად. არასწორად დაანგარიშების, ბენეფიციარის გარდაცვალების ან სხვა მიზეზის გამო, თუ აღნიშნული თანხა გატანილი არ არის და ირიცხება ბანკის ანგარიშზე, ბრუნდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე ბანკის მიერ. თანხის უკან დაბრუნების დროს, ხდება მოთხოვნის აღიარება, როგორც ზედმეტად გადახდილი თანხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნა და კაპიტალის ცვლილება, როგორც კორექტირება ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად. ის არ ცვლის მიმდინარე წლის ხარჯს.





დაკავშირებული მხარეები და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა

დაკავშირებული მხარეები ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში გამჟღავნებულია **IPSAS 20**-ის - „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ - შესაბამისად.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესახებ განახლებული ინფორმაცია, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების საფუძველზე, შესაბამისი პერიოდულობით ქვეყნდება შესაბამისი სამინისტროს/უწყების ვებ-გვერდზე. ასევე, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ანტიკორუფციული ბიუროს ვებ. გვერდზე- www.declaration.acb.gov.ge

